სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
Proceedings of Sokhumi State University,
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

ნანა კუცია[1], მირანდა თოდუა[2]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.23

ბიბლიური პარადიგმა პოსტმოდერნისტულ რომანისტიკაში
(ოთარ ჭილაძის რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“)

აბსტრაქტი. წერილში გაანალიზებულია ოთარ ჭილაძის რომანის *„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“* რამდენიმე ენიგმა (ბეღურა, კარავი-/ტაძარი, ლოცვანი/ია....). ოთარ ჭილაძის რომანისტიკა აგრძელებს მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ტრადიციას - პოსტმოდერნიზმის ეპოქაში ჰაგიოგრაფიისათვის დამახასიათებელი ენიგმა-პარადიგმების პედალირებას. პარალელებს ვავლებთ „ჰაბოს წამების“, „შუშანიკის წამების“ კონცეპტუალურ პასაჟებთან.

ქართული პოსტმოდერნიზმი ბიბლიური ენიგმებით, ალუზიებით, რემინისცენციებითაა დატვირთული. ზემოთ ჩამოთვლილ ენიგმა-პარადიგმებს ბიბლიური არქეტიპების პარალელურად განვიხილავთ და ვიაზრებთ. ვითვალისწინებთ იოანე დამასკელის, იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის კომენტარებს წმინდა წერილის კონცეპტუალურ პასაჟებზე.

საკვანძო სიტყვები: ოთარ ჭილაძე, ბიბლიური პარადიგმა, პოსტმოდერნიზმი, რომანი, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“.

---

[1] **ნანა კუცია,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
[2] **მირანდა თოდუა,** ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

Nana Kutsia[3] Miranda Todua[4]

The Biblical Paradigm in Postmodern Novelism

(Otar Chiladze's novel "everyone that findeth me")

Abstract. The paper analyzes several enigmas in Otar Chiladze's novel "Everyone that findeth me", (the sparrow, the tent/tree, the prayer/violet, etc.). Otar Chiladze's novelistic art continues the centuries-old tradition of Georgian literature – emphasizing enigma-paradigms characteristic of hagiography, even within the epoch of postmodernism. Parallels are drawn with the conceptual passages of *The Martyrdom of Abo* and *The Martyrdom of Shushanik*.

Georgian postmodernism is replete with biblical enigmas, allusions, and reminiscences. The aforementioned enigma-paradigms are examined and interpreted in parallel with biblical archetypes. Consideration is also given to the commentaries of John of Damascus, John Chrysostom, and Basil the Great on conceptual passages of the Holy Scripture.

Keywords: Otar Chiladze, biblical paradigm, postmodernism, novel, *A Man Was Going Down the Road*.

შესავალი. ოთარ ჭილაძემ ნამდვილად შექმნა თავისი მითოლოგია, თავისი „ადამიანური კომედია.“ თუკი ვერლიბრი „თიხის ფირფიტები“ და რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ შუამდინარულ და ბერძნულ მითოლოგიურ არქეტიპებსა და ქართულ ფოლკლორს ირეკლავს, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ ბიბლიური პარაბოლიზმით გამოირჩევა და სწორედ ეს „ძველი ციტატები“ (ბარტი) ქმნის ოთარ ჭილაძის ზემოაღნიშნული ვერლიბრისა და რომანთა პოსტმოდერნისტულ პლასტს.

მოზეიმე ათეიზმის ხანაში მწერლობა აგებდა სულის ტაძარს.

„ქართულმა მწერლობამ, მეცნიერებამ და კულტურამ შემოავლეს გალავანი ქართველი ერის სულს, რათა იმპერიის ტალღებს არ დაელეწა. სახელმწიფოებრივი მასშტაბის სამსახური ამ ბრძოლაში მწერლობამ, მეცნიერებამ, კულტურამ გასწია - ისინი იყვნენ მემკვიდრენი ქართული სულიერებისა, ისინი ჩვენს დროში ქმნიდნენ ქართულ სულიერებას. უდაბნო დახვდათ - არც სახელმწიფო იყო, აღარც ეკლესია. ასეთ დროს შექმნეს მათ - ჩვენი საუკუნის მწერლებმა, მეცნიერებმა, ხელოვანებმა სულიერების სულ სხვა მოდელი. ისინი უდაბნოს მზეზე დაყრილი ერის თავშესაფრად იქცნენ და ერს ესმოდა სულიერების ამ უცნაურ ტაძარში სულ სხვა სიბრძნე, საოცარი ხმები.სხვა ვინ გააგონებდა უფლის ხმას?!“(ღვინჯილია, 1990).

---

[3] **Nana Kutsia**. Doctor of Philology, Associate Professor at Sokhumi State University;
[4] **Miranda Todua**. Doctor of Philology, Associate Professor at Sokhumi State University.

დისკუსია. ოთარ ჭილაძეს ბიბლიური ფრაზით დასათაურებულ რომანში („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) იავარქმნილი ქვეყნის ხატება წარმოეჩინა, მოქმედება ალეგორიულად გადაეტანა ერთი საუკუნით წინ: *„საწყალობლად იმზირებებოდნენ მთებზე გადმომდგარი, უომრად წამხდარი, განუწყვეტელი ბიძგებისაგან საძირკველშერყეული ციხე-კოშკები, გუმბათდაბზარული ტაძრები, საიდანაც სამუდამოდ გადახვეწილიყვნენ ქვეყნის მფარველი წმინდანები და ანგელოზები და ახლა მარადიული ცის მხოლოდ ნარჩენებიღა იყუჟებოდნენ თაღებში, ბუდემორღვეული მერცხლებივით... ღვთის გლახებივით დარცხვენილნი და ხელგაშვერილნი იდგნენ კედელზე მიხატული მეფეები, დიდებულები, გმირები - ან გადაშლილი ქვეყნის მამები. ქვეყანა სოლჩასობილი მორივით იპობოდა“* (ჭილაძე, 1986: 344).

ჰაგიოგრაფის პირდაპირობით ჰყვება პოსტმოდერნიზმის ეპოქის მწერალი - „ვითარცა იგი იყო და ვითარცა თვით [უწყოდა]“ (საბანისძის კონცეპტით). ტრადიციის უწყვეტობას გაესმოდა ხაზი - ჰაგიოგრაფია ქართული მწერლობის უმკვიდრესი ლიბო იყო - „აგიოგრაფიული თხზულება მკითხველისათვის ის იმპულსია, რომელიც გულის სიწმინდეს, სასოების შეურყევლობას, სარწმუნოების სიმტკიცეს მოჰმადლებს ქრისტიანს. იგი მკითხველის ყველა დონეს სწვდება და ნათლისა და მადლის სულიერ ველს ქმნის“ (მეტრეველი, 2000: 7).

მწერლისეული რემარკა, „სამუდამოდ გადახვეწილიყვნენო ქვეყნის მფარველი წმინდანები და ანგელოზები“, მხოლოდ წამიერ სასოწარკვეთას კონსტატირებდა, ფრაზის გაგრძელებაში „ცის მარადიულობას“ გაესმოდა ხაზი.

წმიდა იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ (მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემის) კონცეპტით, „ცანი მადლითა ღმრთისაჲთა იცვებიან... საყდარ ღვთისა არნ“ (დამასკელი იოანე, 2002: 66... 85). საბას ლექსიკონის განმარტებით, ცა „ზე აღსახედია“...

სწორედ ამიტომ ესვრის ცას (ისვრის ცაში) რომანის ერთ-ერთი პროტაგონისტი - ქაიხოსრო მაკაბელი.

რომანის ქრონოტოპოსი ალეგორიულად ირეკლავს საქართველოს ისტორიას აღა მაჰმად-ხანის შემოსევიდან ვიდრე მეოცის დასაწყისამდე, უმძიმეს ეპოქას, მაგრამ ქვეყნის ტრაგედიის უპირველეს მიზეზად მწერალი არა გარეგან ინვაზიებს, არამედ თანამემამულეთა ღვთისგან განდგომა-განშორებას იაზრებს (თუმც, რასაკვირველია, არც ინვაზიათა გავლენაა უგულებელყოფილი).

მაკაბელთა უზარმაზარი სახლი, უზარმაზარივე გალავნით შემორაგული, განრიდებული სოფლის ხმაურს, ვერ იქცევა ნავსაყუდრად, რადგან ეს განაპირება ინტროსპექციას - საკუთარ სულში ჩაღრმავებას და ეგზისტენციურ კით-

ხვებზე დაფიქრებას არ გულისხმობს - თვითმიზნურია, ეგოისტური, ამდენად - განწირულიც.

ქაიხოსრო მაკაბელი არ არის დათა თუთაშხიასავით „ჭვრეტად დანთქმული მარტოკაცი“ - მის განაპირებას შიში ესაძირკვლება (კრიტიკოსი მაკა ჯოხაძე შიშს „ყველაზე დიდ ჯალათს“ უწოდებს (ჯოხაძე, 2009).

აღა მაჰმად ხანის შემოსევისას (1795) სიკვდილს სასწაულით გადარჩენილი იესე-ქაიხოსრო წლების შემდეგ ცინიკურად ეტყვის თავის მიერ „გადარჩენილ“ ქვრივ-ობოლს - ანასა და გიორგას - „შიში შეიქმს სიყვარულსო“ (ჭილაძე, 1986: 22).

ბიბლიური ციტატის ცინიკურ კონტექსტში გაჟღერება თავისთავად წარმოაჩენს გაქაიხოსრომაკაბელებული ვინმე იესეს ჭეშმარიტ ბუნებას - მისი შიში საღმრთო არ არის და ვერც სიყვარულს „შეიქმს“ არასაღმრთო შიში.

„ბიბლიური ციტატის საუკეთესო ინტერპრეტაციად ექვთიმე ზიგაბენისეულ კომენტარს მიიჩნევენ: „შიში შიშითვე განდევნეთ, ოღონდ არა კაცთა, არამედ - უფლის შიშით“ (ბიბლიის ენციკლოპედია, 1990: 207). ბიბლიის კონცეპტით, „უფლის შიშია სიბრძნის დასაწყისი.“

გაქაიხოსრომაკაბელებული იესეს შიშს კონკრეტული სახე აქვს - სანამ უზარმაზარ სახლ-სასახლეს აიშენებდა, „კარვის ჩამუქებულ წყვდიადში გ ვ ე ლ ი ელანდებოდა განუწყვეტლივ“ (ჭილაძე, 1986: 11). არასაღმრთო შიშით ნაბეგვი სულისათვის მიუწვდომელი იყო ზოსიმე მღვდლის მანუგეშებელი შეგონება: „ღმერთს ნუ სცოდავ, შვილო, კარავიც ისეთივე სახლია ღვთისა, როგორც ეკლესია“ (ჭილაძე, 1986: 83). ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში ჩახედულთათვის ეს აქსიომაა. ქაიხოსრო მაკაბელის კარავი არაფრით ჰგავს ძველი აღთქმისეულს.

კარვობის დღესასწაული უდაბნოში ებრაელთა ორმოცწლიანი ხეტიალის სახსოვრად დაწესდა - ეგვიპტიდან („მონობის სახლიდან“) აღთქმულ ქვეყანაში დაბრუნების გზისა (ბიბლიის ენციკლოპედია, 1990: 418).

ლევიტელთა წიგნში განმარტებულია არსი კარვისა: „დღესასწაულსა ჰყოფდით უფლისასა შვიდ დღე... კარავსა შინ სხდეთ. ყოველისა ქუეყანისა უფალი ისრაელსა შორის დაემკვიდროს კარავსა შინა, რამეთუ კარავსა შინა დავამკვიდრენ ძენი ისრაელისანი, რაჟამს გამომყვანდეს მე იგინი ქუეყანით ეგვიპტით“ (ძველი აღთქმა, 1990:106).

კარვობის დღესასწაულზე ავიდა იესო ტაძრად და განსწავლიდა ერს -„დასასრულსა მას დიდისა დღესასწაულისასა დადგა იესუ, ღაღადყო და თქუა: უკუეთუ ვისმე სწყუროდეს, მოვედინ ჩემდა და სუემდინ“ (იოვანე 7, 37). იოანეს სახარების აღნიშნულ პასაჟს იოანე ოქროპირი შემდეგ განმარტებას ურთავს: „უკანაისკნელსა მას დღესა, რაჟამს წარსვლაი ენება თითოეულსა სა-

ხიდ თვისა, მაშინ მისცემს მას საგზალსა ცხორებისასა“ (მათეს სახარება, 1996: 15).

გაქაიხოსრომაკაბელებულს „სწყუროდა“, მაგრამ უფალთან არ მისულა. „ეგვიპტეში“ (იმპერიის უსასრულო სივრცეებში) კარვით მოხეტიალე, მერე „აღთქმულ მიწაზე“ (სამშობლოში) დაბრუნებული, სანამ საკუთარ ფუძეს გაიჩენდა (უფრო სწორედ, სხვისას მიითვისებდა), კვლავ კარავში მკვიდრობდა, თუმც ზოსიმე მღვდელმა ჩასვლის დღესვე შესთავაზა, მასთან გადასახლებულიყო, სანამ საკუთარ სახლს მოათავებდა“ (ჭილაძე, 1986: 83). სწორედ მღვდელს გამოუტყდება, „უღმერთობამ გამომახრჩო კარავშიო...“

მიწასა და ცას მოწყვეტილს, გაუცხოებულს, კარავი ტაძრად ვერ ექცა, თავად ვერ იქცია, არადა, ეს მხოლოდ მის თავისუფალ ნებაზე იყო დამოკიდებული: „სულსა თვითმფლობელობით აქუს აღრჩევაი კეთილად წარმატებისათვის ანუ კეთილისაგან განხუებისათის“ (გარდამოცემა, 37).

ქაიხოსრო აცნობიერებს, კარავში გამოხრჩობის მიზეზი რომ უღმერთობაა, მაგრამ ჯიუტად არ სურს, აღიაროს, თავად მისივე პერსონალური არჩევანი რომაა მიზეზი ტრაგიკული ყოფისა. არ შეისმენს ლიტურგიულ სიბრძნეს, ლაპიდარულად კონსტატირებულს იოვანე საბანისძის ქრესტომათიულ ტექსტში: „უფალსა ჰნებავს დამკვიდრებად ასოთა შინა თქუენთა, ვითარცა თქუა წმიდამან მოციქულმან პავლე, მოძღვარმან ეკლესიათამან, ვითარმედ: ტ ა ძ ა რ ნ ი ხ ა რ თ ღ მ რ თ ი ს ა ნ ი დ ა ს უ ლ ი წ მ ი დ ა ი დ ა მ კ ვ ი დ რ ე ბ უ ლ ა რ ს თ ქ უ ე ნ შ ო რ ი ს და უფალი იტყვის წინა-სწარმეტყველისა მიერ: მე მოვიდე და დავიმკვიდრო თქუენ შორის“ ... ჰაგიოგრაფი სთხოვს მსმენელს (მკითხველს): „მასპინძელ ექმნენით სიტყუათა ამათ ჩემთა, რამეთუ ქრისტესთვის არიან... შეიწყნარეთ კ ა რ ა ვ ს ა გუამისა თქუენისასა და სავანე განუმზადეთ“ (საბანისძე, 1987: 119).

ქაიხოსრომ ვერც „კარავი გუამისაი“ (ფიზიკური სხეული) და ვერც საცხოვრისი (კარავი) იქცია საუფლო ტაძრად, რადგან ვერ განიშორა „ძუელი იგი კაცი, განხრწნილი იგი გულის-თქუმისა მისებრ მის საცთურისა“, ვერ გულისხმაყო პავლე მოციქულის სიბრძნე: „განახლდებოდეთ სულითა მით გონებისა თქუენისათა და შ ე ი მ ო ს ე თ ა ხ ა ლ ი ი გ ი კ ა ც ი, ღმრთისა მიერ დაბადებული“ (დანელია, 1983: 194).

„გარდამოცემის“ კონცეპტით, როგორც ყოველი კაცი, არც გაქაიხოსრომაკაბელებული იესეა „ბუნებით ბოროტად დაბადებული, არამედ - კეთილი და კეთილისათვის შექმნილი, რომელსა არცა ერთი კუალი აქუნდა სიბოროტისაჲ დამბადებელისაგან..., გარნა ვერ თავს იდვა განათლებაჲ და პატივი, რომელი იგი მიანიჭა მას დამბადებელმან“ (გარდამოცემა, 79).

პიროვნულ არჩევანზეა დამოკიდებული, გვამის კარავს იქცევს თუ არა უფლის ტაძრად, დაამკვიდრებს თუ არა ტრანსცენდენტურს (ღვთაებრივს) წარმავალში (მიწიერში), თუ ქაიხოსრო მაკაბელივით დაიბოღმება. ქაიხოსრო საკუთარ უღმერთობას არც მალავს.

ქაიხოსროს „გვამის კარავს“ (სხეულს) სენი შეუჩნდება - შიგნიდან ხრავს სიძულვილთა და შიშით შიგნიდანვე გამომპალს - ფიზიკური სნეულება მეტაფიზიკური ავადობის ალეგორიაა ტექსტში.

სანამ საკუთარ სახლს აიგებდეს სხვის (ყაფლან მაკაბელის) ნაფუძარზე სხვისი (გიორგას) სახლის ქვებისაგან, თავის სულიერ სნეულებას - უღმერთობას - ბავშვის წინაშე ამზეურებს - თოფს ცაში ისვრის და დაბნეულ გიორგას „განუმარტავს“: „ღმერთზე ვნადირობთ, ღმერთზე! აბა, მაშინ რას იზამ, ღმერთი რომ დაეფერთხოს ჩვენს ფეხებთან?!“ (ჭილაძე, 1986: 48).

ქაიხოსრო ის კაცია, ვისნაირებზეც სახარებაში თქმულია, რომ ცთუნება უნდა მოვიდეს, მაგარ ვაი, მას, ვის მიერაც მოვა, მით უფრო, რომ ის ბავშვს აბრკოლებს. წმინდა იოანე ოქროპირის განმარტებით (მათეს სახარება, 1998: 143) „მომყუანებელნი იგი საცთურთანი უკურნებელითა სენითა შეპყრობილ იქმნნეს და ბოროტი შეიყუარეს... არათუ ღმერთმან ესევითარი შექმნნა იგი, გარნა კაცი თვისისა უდებებისა (სიზარმაცისა) და დახსნილებისაგან (თავგასულობისაგან) იქმნა ესრეთ, რამეთუ ყოველი ბოროტისმოქმედი თავით თვისით არს ბოროტისმოქმედ, წესითა მით თვითმფლობელობისაითა, რომელი მისცა პირველითგან ღმერთმან კაცსა, რაითა ნ ე ფ ს ი თ გამოირჩიოს კეთილი და არა ი ძ უ ლ ე ბ ი თ, რაითა თვითმფლობელობისა წესითა მიქცეული ბოროტისა მიმართ, თვითმფლობელობისავე წესითა ნ ე ბ ს ი თ მოიქცეს ცხორებად“...

ქაიხოსრო მაკაბელი არათუ „ნებსით“ მოექცა, ცოდვაში ყრმის შეზიარებასაც ლამობდა. „გიორგა თავიდან იცინოდა, მაიორის ნათქვამზე მხრებს იჩეჩავდა, ვითომ რა მოხდაო, მაგრამ მერე, მარტო დარჩენილს, თავისი ოთახის წყვდიადში ჩაკარგულსა და შიშისაგან თვალებდაჭყეტილს, განუწყვეტლივ ელანდებოდა, როგორ მოასავსავებდა ფრთებს ალალბედზე ნასროლი ტყვიით განგმირული ღმერთი“ (ჭილაძე, 1986, 48).

ქაიხოსრომ ჯერ „ღმერთი მოკლა“ - ცა დაამხო თავს ბავშვს, რათა თავად უსახლკარობისათვის განწირული, სულის სიმშვიდის ვერსადმპოვნელი, კარავ-კარავ ნათრევი, გიორგას სახლს დაჰპატრონებოდა - ჯერ ქვა-ქვა დაეშალა, შემდეგ ამავე ქვებით ახალი აეგო, რათა ყრმას ვეღარასოდეს გამოერჩია „მამამისის დამპალი ქვები“ (მინიშნება გამჭვირვალეა - გიორგას სახლსამკვიდრო-ქვეყანა სხვის გოდოლშია ჩაშენებული).

მაიორის მკრეხელობასა და ქვების „თავისობას“ გიორგა ვერასოდეს დაივიწყებდა: „ბავშვობიდან მამისეული სახლის დაშლა და გადმოზიდვა დაამახსოვრდა, ტლანქი, უგრძნობელი გროვა კრამიტისა, ფიცრისა და ქვისა. იმ ქვებიდან მერე ერთსა სცნობდა მხოლოდ, ისიც - კაცუნას წყალობით, რომელიც თვითონვე ამოეკაწრა ოდესღაც და რომელსაც ჩხირივით გალეული და გაფარჩხული ხელ-ფეხი ჰქონდა. ის ქვა გომურის კედელში ჩაატანეს, ოღონდ - შემოტრიალებულად და თავდაყირა ამოტრიალებული კაცუნა ყოველთვის, როგორც კი თვალში მოხვდებოდა, მისი და მაიორის ნადირობას [ღმერთზე!] ახსენებდა რატომღაც. ისე შეეკუმშებოდა ხოლმე გული, თითქოს ალალბედზე ნასროლი ტყვიით განგმირული ღმერთი ეშვებოდა ციდან“ (ჭილაძე, 1986: 89).

გიორგა, უნებლიე დამნაშავე, ცოდვაში თანაზიარობის ტკივილს სიკვდილის წინაც იგრძნობს, თათრისაგან განგმირულის ხილვა საცნაურია:

„ -კარგი იყო, თოფს რომ მესროდი? - დაუძახა ქვაზე ამოკაწრულმა კაცუნამ.

- მე? როდის? - ეწყინა უსამართლო საყვედური.

- შენც ხომ იქ იყავი, ხომ არ დაგიშლია იმისათვის?!“ (ჭილაძე, 1986: 23).

უფლის არგამოსარჩლების სიყრმისდროინდელი, მოუნანიებელი ცოდვა გაუცნობიერებლად აწამებს გიორგას - ბოლომდის ყრმად დარჩენილს. უკანასკნელი სიტყვები მონანიებაა ბავშვობაში გაუცნობიერებლად ჩადენილისა, ცოდვაში თანაზიარობისა: „მე მომკითხე, ღმერთო, მე მომკითხე ყველაფერი“...(ჭილაძე, 1986: 23) - მე და არა ქაიხოსროსო, ემუდარება სულით ყრმა არსთაგამრიგეს, მოყვასის უზენაეს სიყვარულს ავლენს ცოდვათა შეზიარებისათვის შემზიარებლის მიმტევებელი.

„არა რაი ესრეთ მოწყალე ჰყოფს ღმერთსა ჩვენზედა, ვითარ სიყვარული და მოთმინება და არა-ბოროტისყოფა მტერთა... უფროისად სწყალობდე, რამეთუ ქრისტეცა შესწუხნა იუდასათვის. რაჟამს არა ავნო, მაშინ ღმერთი იქნების მიმგებელ ბოროტის-მყოფელისა მის შენისა. არა დახსენ სიტყუაი იგი წერილისა, რომელ იტყუის: ჩემი არს სასჯელი და მე მივაგო“ (იოანე ოქროპირი, 1995: 95).

იოანე ოქროპირის სიბრძნეს გაუცნობიერებლად იზიარებს გიორგა, შინიდან გაძევებული, კერიამოშლილი - მის ნაფუძარზე ახალი, „ქალაქური“ ყაიდის ორსართულიანი სახლი ააგეს, თავად მას კი გომურში დაუდეს ბინა, მაგრამ გიორგა გომურშიც, სახედრისა და ბეღურების მეზობლად, ათასგზის უფრო ბედნიერია, ვიდრე სხვისი ქვებით ნაგებ სახლ-დილეგში გამომწყვდეული ქაიხოსრო.

ქაიხოსროს სოფლად ჩასვლა არაფრითა ჰგავს ქალაქის საცთურს განრიდებას, იოანე ოქროპირი რომ წერს: „დაუტევე ერი იგი ჰურიათაი და ქალაქი

იგი აღშფოთებული, მძლავრი იგი მკლველი, უცნებაი და სახიობაი სოფლიოი და მიისწრაფე ბეთლემდ, რომელ არს ტაძარი პურისა მის სულიერისაი, წმიდაი ეკლესიაი, სადა იგი მარადდღე იხილვების უფალი“ (მათეს სახარება, წ.1, 1996: 132).

ბიბლიური რემინისცენციებით იტვირთება გიორგას „ახალი სახლის“ - გომურის, სახედრის, ბეღურების ენიგმები.

„უფალმა ყოველივე მდაბალი და შეურაცხი თავს იდვა და არცა სახლი აქუნდა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: ძესა კაცისასა არა აქუს, სადა თავი მიიდრიკოს და ჰეროდესაგან ივლტოდა და, იშვა რაჲ, ბაგასა მიიწვინა და დედაჲ არა მდიდართაგანი გამოირჩია, რაჲთა ამითა ყოვლისა ზუაობისა ვნებაჲ განაქარვოს კაცთაგან... არცა ესევითარისა რაჲსმე კაცობრივისა პატივისა ჯერ არს ძიებაჲ, არამედ მცნებაჲ ხოლო ღმრთისაჲთა“ (მათეს სახარება, წ.1, 1996: 157).

საცნაურია, რომ „გიორგას სიკვდილის შემდეგ „ანას გომური საყდრისათვის დაემსგავსებინა“ (ჭილაძე, 1986: 235), „გამოგონილი საყდრის ბურანში“ მკვიდრობდა.

გომურში სახედრის მკვიდრობაც ჯერ ბეთლემის ბაგის მისტიკურ სიმყუდროვეს წარმოაჩენს, შემდეგ - საღმრთო ქალაქში დიდებით შემავალი მაცხოვრის სიტყვის იდუმალ სინათლესა და მადლს: „არქუთ ასულსა სიონისასა: აჰა, ესერა, მეუფე შენი მოვალს შენდა მშვიდი და ზე ზის იგი ვირსა კიცუსა, ნაშობსა კარაულისასა“(მათე 21, 5).

ოქროპირისეული კომენტარი: „ჰოი, საკვირველი ესე დიდებული, ჰოი, საქმე შესაძრწუნებელი! მჯდომარე იგი ქერობინთა ზედა იხილვების კიცუსა ზედა კარაულისასა მჯდომარე... მოვალს შენდა მშვიდი მაცხოვარი“ (მათეს სახარება, 1998: 222).

თეოფილაქტე ბულგარელისეული განმარტებით, მაცხოვარი სახედარზე იმიტომ ამხედრდა, რომ „აღესრულებინა წინასწარმეტყველება და ეჩვენებინა, როგორი მორჩილება ხამს“ (თეოფილაქტე ბულგარელი, 2002: 180).

გიორგას უდრტვინველობა, თვინიერება უფლისმიერი მადლია - არ მძვინვარებს, არ მრისხანებს, ბოღმას არ ჩაინთხევს სულში. გომურშიც ბედნიერია ბეღურების ჭირისუფალი...

„გაზაფხულს ზაფხული ცვლიდა, ზაფხულს - შემოდგომა, შემოდგომას - ზამთარი და მხოლოდ ბეღურები არ იცვლებოდნენ - მათზე ათასჯერ დიდი, ათასჯერ ძლიერი არსების ყურადღება, გულუხვობა და სიკეთე აიძულებდათ სულ ერთი ცის ქვეშ ტრიალს, ავიწყებდათ სხვა ქვეყნების არსებობას და არწმუნებდათ, მხოლოდ და მხოლოდ აქ რომ იყო მათი ადგილი, მზეშიც, წვი-

მაშიც, ქარშიც და თოვლშიც და, თუკი ვინმეს სჭირდებოდნენ საერთოდ - ამ დიდსა და უწყინარ არსებას“ (ჭილაძე, 1986: 93).

ლევიტელთა წიგნის მიხედვით, ბეღურას უღატაკესი ადამიანები სწირავდნენ მსხვერპლად (ძველი აღქმა, 1990:136).

მათეს სახარებაში ვკითხულობთ: „ანუ არა ორი სირი ასარის განისყიდებისა? და ერთიცა მათგანი არა შთავარდების მახესა, თვინიერ ნებისა მამისა თქუენისა ზეცათაისა. ხოლო თქუენნი თავისა თმანიცა განრცხილ არიან. ნუ გეშინინ, რამეთუ მრავალთა სირთა უმჯობეის ხართ“ (მათე 10, 29-31).

„ბიბლიის ენციკლოპედიის“ განმარტებით, „აღნიშნული ფრთოსანი მკვიდრობს და ბუდეს იგებს ადამიანთა საცხოვრისის ჭერქვეშ და საღმრთო ტაძრებში, ამიტომაც მეფსალმუნე, გამოხატავს რა ღრმა მწუხარებას საუფლო ტაძარს განშორებისა გამო, მოიხსენიებს ამ ფრინველს და გოდებს: „სირმანცა პოვა თავისა თვისისა სახლი და გურიტმან - ბუდე თვისი, სადა დაისხნეს მართუენი თვისნი - საკურთხეველი შენი, უფალო ძალთაო, მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, ნეტარ არიან, რომელ დამკვიდრებულ არიან სახლსა შენსა“ (ფს. 83, 3-4) (ბიბლიის ენციკლოპედია, 1990:119). სახარების ფრაზას - „მრავალთა სირთა უმჯობეის ხართ“ –„განმარტებითი ბიბლია“ ამგვარ კომენტარს ურთავს: „ოდნავ უკეთესიც რომ ყოფილიყავით პატარა ჩიტუნებზე, ზეციური მამის მზრუნველობა არც მაშინ მოგაკლდებოდათ. ბუნებრივია, ეს მზრუნველობა იმდენად დიდია, რამდენადაც მოციქულთა მნიშვნელობა აღემატება მნიშვნელობას ფრთოსნისას“ (ბიბლია, 1911-1915, წ.3: 208).

ის, რასაც (წუთი)სოფელი შვილმკვდარი დედის დემენციად (სიგიჟედ) აღიქვამს, უზენაესი რეგისტრია რწმენისა - როცა ინისლება მიჯნა ჟამიერსა და ტრანსცენდენტურს, ამქვეყნიურსა და მიღმიერს შორის: გიორგა „ანასთვის ისევ ცოცხალი იყო და, მტრებს რომ დამალვოდა, ათასნაირ სახეს იღებდა - ხან ბეღურად იქცეოდა, და, ბეღურებში გარეული, ნისკარტით უკაკუნებდა დედას, ხან წვიმად მოდიოდა... გომურიდან გამოვარდნილი, უთავსაფრო, ფეხშიშველი ანა გოგოსავით ბზრიალებდა მის ცხელსა და მიწიან ხელებში. სოფელს გიჟი ეგონა, ანა კი ბედნიერი იყო“ (ჭილაძე, 1986: 239).

„მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიისათვის უცხო არ არის „გოდების“ მოტივი, სახარება დუმს შვილმკვდარი დედის განცდებზე. მახარებელთაგან მხოლოდ იოანე (იოანე 19, 25) გვაწვდის ცნობას, რომ მაცხოვრის ჯვართან იდგა მარიამი... ჰიმნოგრაფთათვის საინტერესო აღმოჩნდა დედა-ქალწულის ემოციათა ტკივილის სიღრმე და დაგვიხატეს ამაღელვებელი სურათი გამწარებული დედისა, რომელსაც ცრემლები ნაკადულებრივ სდიოდა... „მწუხარე გონებითა, აღსავსეჲ ცრემლითა, ეგლოვდა ლმობიერად“ (მიქაელ მოდრეკილი)“ (თოდუა, 2009: 115).

ბედნიერი იქნებოდა გარდაცვლილი ანაც - მისი გარდაცვალების დღეს სოფელში ირემი შემოვიდა. „მისი მხდალი გულის ბაგაბუგი სოფელს აოგნებდა. -გიორგას სულია, გაანათლოს უფალმა, - თქვა ზოსიმე მღვდელმა“ (ჭილაძე, 1986: 249].

საცნაურია პეტრეს რეპლიკა: „გიორგას სული არა, ისა“...

მათეს სახარების იოანე ოქროპირისეული განმარტებით, „დააცხრო ღმერთმან საქმე სასწაულთაი და ჟამითი-ჟამად, განმრავლდეს რაჲ ურწმუნოებაი, კუალად აჩუენის ძალი თვისი“ (მათეს სახარება, წ. 1. 1996: 52). სოფლად ირმის გამოცხადება ურწმუნოების ჟამს „ჟამითი-ჟამად“ წარმოჩენილი უფლისმიერი სასწაულია.

„ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ პოსტმოდერნიზმის ეპოქაში თხზული ნაწარმოებია და არა ჰაგიოგრაფიული ტექსტი, მაგრამ აღნიშნული პასაჟი სწორედ ჰაგიოგრაფიულ თხზულებებში აღწერილი სასწაულების ასოციაციას იწვევს.

რევაზ სირაძე ერთგვარი სინანულით წერდა: „სასწაულებრივი თხრობანი არაა ჩვენში რიგიანად შესწავლილი. უმეტესწილად, აღვნიშნავთ ხოლმე მათს მხატვრულ ფუნქციას, რაც არაა მართებული. ზოგ შემთხვევაში, სასწაულებრივ მოთხრობას უწოდებენ ლეგენდას ან ნოველას. ამგვარი კლასიფიკაციები უკარგავს სასწაულს თავის სახეს და მის ნიველირებას ახდენს ფორმალისტური ნიშნებით. სასწაულებრივ სახისმეტყველებას თავისი განუმეორებელი სიმაღლე აქვს და მისი დაქვემდებარება სხვა რამ სტრუქტურისადმი (თუნდ მხატვრულისადმი) ყოველთვის თავისთავად საგულისხმო რამ როდია.

სწორედ სახისმეტყველებითი მხრივ მაღალი სისტემები შეიძლება დაბალ სისტემებშიც შედიოდეს - სასწაულებრივი ციკლები ეკლესიაში შინაარსობრივად უკავშირდებოდა ერთმანეთს, მაგრამ, ამასთანავე, გამოსარიცხად არ უნდა ჩავთვალოთ მხატვრული ასპექტების გათვალისწინებაც სახისმეტყველებითი ანსამბლების კონსტრუირებისას“ (სირაძე, 1992: 126).

„ირემი“ წმინდა წერილის ერთ-ერთი გამორჩეული პარადიგმაა. ტრანსცენდენტურს წვდომის უმძაფრესი სურვილი მხოლოდ მწყურვალე ირმის განცდას თუ შეედრება. მეფსალმუნე მიმართავს უფალს: „ვითარცა სახედ სურინ ირემსა წყაროსა მიმართ წყალთასა. ეგრე სურინ შენდამი, ღმერთო“ (ფს. 41,1).

„ბიბლიურ ენციკლოპედიაში“ აღნიშნულია: „რეფრენი - „რად მწუხარე ხარ, სულო ჩემო? რად შემაძრწუნებ მე?“ წარმოაჩენს მწუხარე გრძნობას მეფსალმუნისა, რომელიც იძულებულია, ტაძრიდან შორს მყოფობდეს“ (ბიბლიის ენციკლოპედია, 217).

ფსალმუნის რეფრენი მწყურვალე ირმის ტრანსცენდენტურ სევდას ირეკ-ლავს.

ირმის პარადიგმაზე საგანგებოდ მსჯელობს რევაზ სირაძე წერილში „წმინდა ნინო და დედა-უფალი“: „ნინოს სიმბოლურ სემანტიკაში შედის ირემი და ეს ირემი სიცოცხლის ხეს უკავშირდება... ნინო ჯვრის ძალით კურნავს, ხოლო ხე, რომლისგანაც შემდეგ ჯვრები გაკეთდა, ირმებს კურნავს თავისი თესლით, რომელშიც ამაღორძინებელი ხთონური ძალაა. მიწაში არის დაფლული უფლის კვართი. მიწაზე დაცვენილია თესლი, რომელიც კურნავს ირმებს; მკურნალია სვეტიცხოვლის ხე. ხის ძირას ამოდის სვეტიცხოვლის წყარო, იგივე „ცხოვრების წყარო.“ ნაწარმოებში ეს წყარო არაა დასახელებული ირემთა მკურნალად, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ფსალმუნური გააზრების საფუძველზე“ (სირაძე, 1987: 114).

გიორგასა და ქაიხოსროს სამკვიდრებელნიც - გომური და სასახლე ორგვარი ყოფის - სულიერსა და მატერიალურს მიჯაჭვულობის წარმომჩენია.

გომური დროის მიღმა დგას, ზედროულია. „ქალაქური ყაიდის სახლის“ დრო უზარმაზარი, კუბოსდარი საათითაა გაზომილი.

გიორგა მარადისობაში მკვიდრობს, რაკი მის სულს ჟამიერი ლექი ვერ ერევა: „ბიჭად დარჩენილიყო ისევ - მაყვლით ტუჩებმოთხუპნული ბრუნდებოდა ვენახიდან, ხან ოფოფის ბარტყს მოუყვანდა უბით ძმისშვილებს, ხან კი,სამხრის ნარჩენივით, ცოცხალი ზღარბი ჰყავდა ხილაბანდში გამოკრული. ყველასთან პატარა იყო, უფროსობა არ გამოსდიოდა“ (ჭილაძე, 1986: 146].

ბეღურების ჭირისუფლობა, ოფოფებისა და ზღარბების სიყვარული სამყაროული თანხმიერებისაგან სულგაუმიჯნაობას გულისხმობდა. გიორგა ადამს, ბიბლიურ სახელმრქმეველს ჰგავდა, უფალმა რომ უხმო და თანაშემოქმედად იქცია: „და მოიყვანნა უფალმან ღმერთმა კაცი, რომელი შექმნა და დაადგინა იგი სამოთხესა შინა საშუებლისასა საქმედ მისა და ცვად... და შექმნნა უფალმან ყოველნი მხეცნი ველისანი და მფრინველნი ცისანი და მოიყვანა იგინი ადამისა ხილვად, რაი უწოდის მათ და ყოველი, რომელი უწოდა მათ ადამ სულსა ცხოველსა, ესე არს სახელები მისი“ (შესაქმისაჲ 2, 15-20).

გიორგა ყოფიერების ბედნიერ - უდროო- მოდელში მკვიდრობს.

მრავლისმეტყველია „ვენახის მუშაკობაც.“ შინაგანი უდრტვინველობა, ჩუმი მსახურება და უანგარო სიყვარული მოყვასისა მას ბიბლიურ ვენახის მოქმედთ (მათე 20,1-16) ამსგავსებს. „ვენახის მოქმედის“ პარადიგმა ცხოვნებისათვის საჭირო ღვაწლთანაა დაკავშირებული. იგავს სახისმეტყველებითი განმარტება აქვს და მიგვანიშნებს, რომ „ჩინებულთა“ შორის „რჩეულთა“ გამორჩევა გავლენიანი პირის დახმარებით კი არ ხერხდება, არამედ - ღვთის

მადლითა და სამართლიანობით, ადამიანთა პირადი ღვაწლის გათვალისწინების შედეგად“ (კოპლატაძე, რუხაძე, 1997: 18).

გიორგას შრომა მადლიანია, მაიორისა - არა. უკანასკნელისათვის მთავარია, „გარჯისას“ ხეზე მიკიდებული მუნდირი დაინახოს სოფელმა და მზეზე აბრჭყვიალებულმა სამოსელმა თვალი მოსჭრას. სოფლის აღქმით, ქაიხოსრო მაკაბელი „შახივით ვაჟკაცი(ა), რომელსაც ეპოლეტებისა და ჩინ-მედლების შუქი შარავანდედივით ედგა თავზე“ (ჭილაძე, 1986: 109).

გიორგას შარავანდედი კი უხილავია, ეკლის გვირგვინია.

გიორგასა და ქაიხოსროს წყვილის ანტინომიურობა იმ დეტალითაც აქცენტირდება, რომ პირველს მეორის სარკედ უხმობს მწერალი: „გიორგა მაიორისთვის იქცა სარკედ, რომელშიც არა მარტო მუნდირის თვალისმომჭრელი ბრწინვალება ირეკლებოდა, არამედ - ბნელი სულის ნაოჭებიც. რა გასაკვირია, ასეთი სარკე რომ შესძულებოდა, ტალახით გადალესვა რომ სდომებოდა მისი?!“ (ჭილაძე, 1986: 97).

გიორგა ქაიხოსროს არა მხოლოდ ჟამიერ, უპირველესად, მეტაფიზიკურ არსს ირეკლავდა - ბუნდოვანს ცხადად აქცევდა. ქაიხოსროსაგან განსხვავებით, გიორგა არ ლამობს მზის ქვეშ განსაკუთრებული ალაგის დამკვიდრებას. მას უნდა გაეგრძელებინა გვარი, ქაიხოსროს - დაეწყო. ამიტომაცაა გიორგა შინაგანად მშვიდი, აუმღვრეველი - გომურშიც.

ქაიხოსრო ნაფუძარში პირველსავე დღეს გველის ხილვას შეუძრწუნებია. მინიშნება გამჭვირვალეა - სამოთხე არსადაა სულში გველშეცოცებული კაცისათვის, ვინც ქვეყნის უბედურება სხვათა „უნიათობას“ (უპირველესად - მშობლებისას) გადააბრალა, უბედური სამშობლო შეიძულა და ნებით დაივიწყა ის, რის დავიწყებაც არა ხამს: გვარი, სახელი, ვინაობა, მშობლიური ქალაქი...

„იმ სისხლიდან დაიბადა ხელმეორედ, რომელიც ხატებიდან მშვიდად გადმომზირალ წმინდანებს მიეშხეფა სახეში. მისი გამჩენები განსაცდელის ჟამს, იმის ნაცვლად, გადაკარგულიყვნენ, სოროებში შემძვრალიყვნენ, თვითონვე ეზრუნათ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად, ღმერთს მიენდვნენ და, ხატების წინ დაჩოქილნი, ლოცვითა და გალობით შეეგებნენ ბრმა და თავხედ სიკვდილს“ (ჭილაძე, 1986: 64).

ქაიხოსრო მაკაბელის მფრთხალ ბუნებას არ შეუძლია გაიცნობიეროს მაღალი სიბრძნე: „ძალი ჩემი უძლურებასა შინა სრულ იქმნების.“ აქედან - სულმოკლეობა, სიმდაბლე... ქაიხოსროს დაკრძალვის დღეს სოფლად ირემი არ მოვა. ორი დღის მკვდარს საძირკვლიდანვე აყროლებულ სახლში იპოვიან, სახლში, რომელმაც სიკვდილისაგან ვერ დაიფარა...

ზემოთქმული მხოლოდ ცალკეულ ბიბლიურ პარადიგმებს ირეკლავს ოთარ ჭილაძის ტექსტში. წიგნთა წიგნის მარადი სიმბოლოები ის „ციტატე-

ბია“, რომლებზე დაყრდნობითაც ახალი მხატვრული ქსოვილი (ტექსტი) ითხზვება.

სამყაროს ენიგმურობა საგანგებოდ აქცენტირდება რომანში: „არაფერი იბადებოდა ბუნებაში უმიზეზოდ და უმომავლოდ - არც პატარა, ტალახისფერი ჩიტი და არც სახედრის ჩლიქზე აკრული ბალახი. ყველაფერი კანონზომიერების ჯადოსნურ წრეში იყო მოქცეული და ერთმანეთთან სამუდამოდ დაკავშირებული, ჯაჭვის რგოლებივით ყოველ რგოლს, ყველაზე მცირესაც კი, თავისი საკუთარი, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რაიმე აზრს მოიცავდა, რაიმე ნიშანს იძლეოდა თავისებურად, შეფარულად, მაგრამ არც აზრი რჩებოდა ჩაუწვდომელი და არც ნიშანთა დანიშნულება - ამოუხსნელი“ (ჭილაძე,1986: 93).

ბუნებრივია, ციტატა უნივერსუმის აბსოლუტურ ახსნადობას როდი გულისხმობს. მწერლის ესეში (ჭილაძე,1988: 27) ვკითხულობთ: „სიცოცხლე თავისებურად იღვწის სრულყოფილებისათვის... მისი მიზანია, ბოლოს და ბოლოს, შექმნას ის საუკეთესო, საბოლოო მოდელი, რომელიც სხვებზე უკეთ მოერგება დროსა და გარემოს, მაგრამ ადამიანი მაინც განსაკუთრებული არსებაა. მართალია, სიცოცხლისათვის ისიც ერთ-ერთი „მოდელია“, ანუ თავიდან იმასაც მსგავსის შექმნა, სიცოცხლის გაგრძელება ევალებოდა, მაგრამ აზროვნების უნარიც გამოჰყვა დედის მუცლიდან, რის გამოც ვალდებულია, ბევრ რამეზე თვითონ აგოს პასუხი“...

ამავე ესეში რწმენის არსზეც საუბრობს მწერალი: „რწმენა ერთადერთი სარკმელია, მთავარიაა, ყოველთვის იყოს ვიღაც, ვისაც საერთო სიბნელეში იმ სარკმლის პოვნა და გამოღება შეეძლება. მთავარია, არსებობდეს და, ჰაგიოგრაფიული წმინდანივით, შეეძლოს კიდეც, პირადი მაგალითით გაახსენოს დანარჩენ კაცობრიობას, რა დიდი მადლია ადამიანობა და რა პატარა, რა უმნიშვნელო მოჩანს ყველაფერი მასთან შედარებით“ (ჭილაძე,1988: 36).

„თეთრი ნისლივით წამოზლაზნილი ტაძრები“ (ჭილაძე, 1986: 72) მხოლოდ ქაიხოსროს სიყრმისდროინდელი ჩვენება როდი, უპირველესად, ეპოქის ხატი იყო. ისინიც „ნიშანს იძლეოდნენ“ - ქართული ჰაგიოგაფია ტაძრებს „ცათა მობაძავად“ იხსენიებდა, ცა კი „საყდარი არს ღმრთისაი“ (მათე 5, 34).

ტაძრებს დუქანი ჩანაცვლებოდა: „გარეგინას დუქანში ქვეყნის ამბავი იყრიდა თავს - ისე ვერავინ გავიდოდა აქედან, რაიმე არ დაეჩივლა, თავისი თუ სხვისი, თითქოს დუქანში კი არა, ეკლესიაში იყო და დახლზე გადმოწოლილ, მუდამ მომღიმარ ნოქართან კი არ ჰქონდა საქმე, არამედ აღსარების სათქმელად მოსულიყო მღვდელთან“ (ჭილაძე, 1986: 15).

„კოშკის გაბაზრების“ ტრაგედია უკვე წარმოესახა რუსთველს, ქვეყნის დუქნად ქცევისა - ვაჟას. არქეტიპი ბიბლიაში იძებნებოდა - მამის სახლის „მეშუ-

რნეობით“ ძეს (მაცხოვარს) უფლის სახლიდან გამოერეკა მოვაჭრენი: „ნუ ჰყოფთ სახლს მამისა ჩემისასა სახლ სავაჭრო... მოეხსენა მოწაფეთა მისთა, რამეთუ წერილ არს: „შურმან სახლისა შენისამან შემჭამა მე“ (იოანე 2, 13-21). მათეს სახარების ამავე პასაჟში კონსტატირებულია: „წერილ არს: სახლსა ჩემსა სახლ სალოცველ ეწოდოს, ხოლო თქუენ გიყოფიეს იგი ქუაბ ავაზაკთა“ (მათე 21, 13).

ქაიხოსროს სულშიც დუქანი (მატერიალური) ანაცვლებს საყდარს (სულიერს). მას ეპოლეტებისა და ჩინ-მედლების „შარავანდი“ ადგას, მის მშობლებს - წმინდანებისა. გამჭვირვალეა მწერლისეული მინიშნება: მშობლები თავისუფალი საქართველოს უკანასკნელი თაობაა, ქაიხოსრო - დაპყრობილი ქვეყნის პირველი. საბედისწერო მიჯნად ჩნდება აღა მაჰმად-ხანის შემოსევა, როგორც სამანი, სულიერი განსხვავების წარმომჩენი. არც გაქაიხოსრომაკაბელებული პროტაგონისტის სახელი - იესე უნდა იყოს შემთხვევითი: გაკრთება აჩრდილი 1832 წლის „ფერმკრთალი შეთქმულების“ გამცემისა, არაფრით რომ ჰგავდა ბიბლიურ სეხნიას, მაცხოვრის „ყვავილად“ აღმომცენებელს (იოვანე საბანისძე), ბაგრატიონთა საგვარეულოს (იესიან-დავითიან-სოლომონიან...) შორეულ დასაბამს.

გაქაიხოსრომაკაბელებულის მკრეხელური ფიქრები „კარავში უღმერთობით გამომხრჩვალი“ კაცის განაზრებებია, რომელთაც მწერალი უკომენტაროდ აღწერს: „მას მერე, რაც ღმერთმა ადამიანს კაცის კვლა აუკრძალა, სინამდვილეში, ამით უფრო გაუმძაფრა მკვლელობისაკენ მიდრეკილება და ისიც განუწყვეტლივ კლავდა თავის მსგავსთ... სიძულვილის, სიყვარულის, სილაჩრის, სიბრიყვის გამო. ათი მცნება ხომ სხვა არაფერია, თუ არა ათი ძირითადი ადამიანური თვისების აღმოჩენა, ხოლო ადამიანობა - ამ ათი, ერთმანეთზე ძლიერი და ერთმანეთზე ძნელად მოსარევი თვისების დათრგუნვისა და მიჩქმალვის ცდა. ადამიანი ყოველთვის კლავდა ან ეკვლევინებოდა თავის ძმას, რადგან სწორედ ძმის - მსგავსის, ჩამონაჭრის არსებობა აღიზიანებდა ყველაზე მეტად. ეს ღმერთისაგან თავსმოხვეული წყევლა იყო და ერთადერთი გამოსავალი არსებობდა ამ წყევლისაგან გასათავისუფლებლად - ყველაფერზე თვალის დახუჭვა, ყველაფერზე უარისთქმა, რაც, თავისთავად, შეუძლებელი იყო, რადგან ეს, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი არსების უარყოფამდეც მიიყვანდა კაცს - ძმის მკვლელობიდან - თვითმკვლელობამდე“ (ჭილაძე, 1986: 116).

ძმით (მოყვასით) გაღიზიანება „უღმერთობით გამომხრჩვალთა“ ნიშატი იყო და ამაოდ ცდილობდა საკუთარი „გამოცდილების“ განზოგადებას ქაიხოსრო. ზემოთქმულის არსს ექიმ ჯანდიერის ნაფიქრალი განმარტავს: „წამალი სენისა, რომელიც ამ ქვეყანას მოსდებოდა, ჯერ ღმერთს არ გამოეგო-

ნებინა, რადგან არც სენი იყო მისი მოგონილი“ (ჭილაძე, 1986: 137). უფლისაგან ქმნილ უნივერსუმს სენი არ სჭირდა - ყოველი იყო „კეთილ“ - ადამიანისათვის ქმნილი, ადამიანისაგანვე (მცნების ვერდამმარხველისაგან) იავარქმნილი. ქაიხოსროს სულში ეჭვის ის ნაბზარია, კაენის სულში რომ გაიკლაკნა პირველად: „მას მერე, რაც ღმერთმა ადამიანს კაცის კვლა აუკრძალა, სინამდვილეში, ამით უფრო გაუმძაფრა მკვლელობისაკენ მიდრეკილება.“

ქაიხოსროს ნაფიქრალს ინვაზიებით დამფრთხალი ბავშვის გამოცდილებით ნუ ავხსნით - მღვდელი ზოსიმე ქაიხოსროს თანამოასაკეა, მაგრამ ინვაზიებს მის სულში ეჭვის ნაპრალი არ გაუჩენია, არც გველი მკვიდრობს მის ფუძეზე (როგორც მაკაბელთა ნაფუძარზე, ქაიხოსრომ რომ უნდა ააღორძინოს). მამა ზოსიმეს მიერ ქაიხოსროსათვის საცხოვრისად საკუთარი სახლის შეთავაზება, უპირველესად, ყოფიერების საკუთარი მოდელის შეთავაზებას გულისხმობს, მშვიდი, საუფლო წესრიგის თანხმიერი ნირისა. გველი ქაიხოსროსას ჯერ სულს შესცოცებია და მხოლოდ შემდეგ - ნასახლარს.

ქაიხოსრო და მღვდელი ზოსიმე ტექსტის ანტიპოდური წყვილია (ბინარული ოპოზიცია). განსხვავებულია მათი ვიზუალიც: ქაიხოსროს ეპოლეტებისა და ჩინ-მედლების „შარავანდედი“ ადგას, მღვდელს „შიგნიდან განათებული თვალები“ აქვს.

კონცეპტუალურ დატვირთვას ატარებს რომანში ღვთისმსახურისა და უღმერთოს დიალოგები (უფლისა და დიდი ინკვიზიტორის დიალოგებში მოხაზულიყო არქეტიპი („ძმები კარამაზოვები“):

„- ღმერთი გადაგიხდის ქვრივ-ობლის ამაგს.

- მოწამებრივი სიკვდილით?!

- კაცმა რომ თქვას, არც ესაა ცოტა.

- ყველა სიკვდილი ერთნაირია, მამაო, და ყველა ერთნაირად ყარს.

- ცოდვა ყარს და არა სიკვდილი.

- ორი თვის ბავშვიცა და ასი წლის ბებერიც ერთნაირი ცოდვილი ყოფილა.

- ასეა. ყველანი ცოდვის შვილები ვართ.

- ვისი ცოდვის? როდინდელი ცოდვის? და როდემდე უნდა ვიხადოთ სხვისი ვალები?!

- უსასრულოდ, შვილო ჩემო, უსასრულოდ - სანამ ხელს ავიღებთ ცოდვაზე“ (ჭილაძე,1986: 85).

განსხვავებულია თანამოსაუბრეთა ტონიც. მღვდლის შინაგანი სიმშვიდე მხოლოდ ამკვეთრებს ურწმუნოს ამღვრეულობას. ქაიხოსროს არ ძალუძს, გაიაზროს ცოდვილი ყოფიერების ჯოჯოხეთური არსი. „ვისი ცოდვის, როდინდელი ცოდვისო“, ისტერიული ტონით ეკითხება მოძღვარს. „უკეთუ ვთქუათ, ვითარმედ ცოდვაჲ არა გუაქვს, თავთა თვისთა ვაცთუნებთ, ჭეშმარიტებაჲ

არა არს ჩუენ თანა... სიტყუაჲ უფლისაჲ არა არს ჩუენ შორისო“, გვმოძღვრავს იოანე მახარებელი (1 იოვანე 1, 8...10).

არათუ ცოდვას აღიარებს, მკრეხელობს კიდეც შინაგანი სენით გამომპალი (მინიშნება სულიერ გახრწნაზე) ქაიხოსრო: „უსამართლოა შენი ღმერთი, მამაო, გინდაც მე მილაპარაკნია, გინდაც ძაღლს დაუყმუვლია, სულ ერთია იმისთვის“ (ჭილაძე, 1986: 85).

„ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველებაში“ განმარტებულია: „თუკი გაჭირვებაში ჩავარდნილი კაცი ღმერთს საყვედურობს, რომ იგი არ დაიფარა უბე-დურებისაგან, მაშინ მისი უმეცრება არ ჩამოუვარდება იმ ურწმუნოს ბორგვას, რომელსაც შეუძლია თქვას, ღმერთი არ არისო, რადგან მან ღმერთი ბოროტების მიზეზად აქცია“ (კოპლატაძე, რუხაძე, 1997: 8).

ქაიხოსრო ვერც „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვის“ მისტერიას გზნებს. მისთვის სიკვდილი „სიბინძურეა.“ ცინიზმითაა გაჯერებული კითხვა: „- იქნებ, მოყვასისათვის სიკვდილია ვარდივით სურნელოვანი?! ჰა, მამაო? გიყვარდეს მოყვასი შენიო, ასე არ არის?

- მოყვასისათვის სიკვდილი ყველას როდი შეუძლია. ყველას თავისი სატკივარი კლავს.

- გინდა, სიმართლე გითხრა? მე მეზიზღება მოყვასი ჩემი“... . ქაიხოსრო სატანური უტიფრობით უპირისპირდება მთავარ საუფლო მცნებას - უფლისა და მოყვასის სიყვარულს (მათე 22, 36-40).

„მოყვასი - ადამიანი - ღმერთის მშვენიერი ქმნილებაა. მისი აღმატებული თვისებებია გონიერება, ნების თავისუფლება, მეუფება მთელ ბუნებაზე... ვინც პატივს არ სცემს ღმერთის ამ ამაღლებულ ქმნილებას, სიძულვილით სდევნის მას, ესევითარის არსებაში ადგილი არა აქვს ღვთის სიყვარულს. უგულებელყოფს რა ქმნილებას, შემოქმედს მოიძაგებს“ (სახარებათა განმარტებანი, 2001: 246).

მარკოზის სახარების მიხედვით, „სიყუარული ღმრთისაი და სიყუარული მოყუასისაი უფროის არს ყოველთა მსხვერპლთა და შესაწირავთა“ (მარკოზ 12, 33). „იგი არა არს ღმრთისაგან, რომელს არა უყუარდეს ძმაი თვისი“ (1 იოანე 3, 10).

ცინიკურია ბიბლიური პატრიარქის, ნოეს პიროვნების ქაიხოსროსეული ინტერპრეტაციაც: „ნოემაც ვერ შეძლო მოყვასისათვის სიკვდილი და მოყვასთან ერთად დაღუპვას ისევ მოყვასის ღალატი ამჯობინა. ასე არ წერია ბიბლიაში? ნოეზე დიდი მოღალატე კაცობრიობას არ ახსოვს. იუდა ვინ მიგდია?! ნოემ ადამის მოდგმა გაწირა - იმის მაგივრად, გაეფრთხილებინა, იჯდა და კიდობანს აკოწიწებდა, ვინ იცის, თან ღიღინებდა კიდეც. ნოე ჩემი ღმერთია, რადგან სიკვდილი ყველას შეუძლია, გადარჩენა კი - არა“...

აბსოლუტურად განსხვავებულია პატრიარქის ბიბლიური პორტრეტი: „ნოე პოვა მადლი წინაშე უფლისა ღმრთისა...ნოე იყო კაცი მართალი, სრული ნათესავთა შინა მისთა... ღმერთსა სათნო ეყო ნოე“...

ნოეს სიმართლისა არაფერი ესმის ქაიხოსროს. მას საკუთარი სიმართლე აქვს - სიყრმისას დამფრთხალი და შიშის ვერდამვიწყებელი კაცის „სიმართლე“, სიმართლედ ნაგულვები ეჭვი. არ ძალუძს, გაიცნობიეროს, რომ „იმ კიდობნიდან ახალი სიცოცხლე ამოვიდა - ღვთისმორწმუნე და ღვთისმოშიში“... თავისსავ ეჭვს ელოლიავება:

„ - რა ვიცი, რომ მე მართლა მე ვარ და ჩემი მოყვასი მართლა ჩემი მოყვასია?

-ეგ რაღაც ახალია.

... ეგ ყველაზე ძველი ეჭვია ადამიანისა, თანაც - ყველაზე ვერაგი“

მამა ზოსიმე აცნობიერებს ტრაგედიის უპირველეს მიზეზს:

„- ხალხს ღმერთის რწმენა დაეკარგა.

-ღმერთის თუ თქვენი?“ - კვლავ ცინიკურია ქაიხოსრო.

-„ეგ ერთი და იგივეა“...

სამშობლოგაუქმებული ქაიხოსროსაგან განსხვავებით, წინაპრები აცნობიერებდნენ, რომ „მღდელობაჲ ქრისტეს ნაცვალობაჲ არს“ („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“).

მღვდლობა ახალი აღთქმის ერთ-ერთი საიდუმლოა, რომელსაც დასაწყისი ძველ აღთქმაში მიეცა. უფალი მოსეს ეუბნება: „და შენ მოიყვანენ თავისა მიმართ შენისა აჰრონ, ძმაჲ შენი, და ძენი მისნი ძეთაგან ისრაელისათა მღდელობად ჩემდა“ (გამოსლვათა 28,1). მღვდელს ნათლობის მეშვეობით ძალუძს ადამიანის მეორედ შობა. მოძღვარი ის ადამიანია, რომელიც პასუხისმგებლობას იღებს სულიერი შვილის ცხოვრებაზე, აღსარებას იბარებს და შენდობას იძლევა შეცოდებათა გამო. ამიტომაა მღვდელი „განმწმენდელი და მფარველი“ (მეტრეველი, 2000, 78).

არქიმანდრიტ რაფაელის განმარტებით, „მოციქულები ქრისტეს მისიას ასრულებენ ამ სოფელში, მღვდელნი კი მოციქულთა მისიას განაგრძობენ“ (არქიმანდრიტი რაფაელი, 1997: 26). კატეხიზმოს მიხედვით, მღვდლობის საიდუმლო დაწესებულია იესო ქრისტესაგან“ (კატახიზმო, 1994: 72).

ქაიხოსროს არც მღვდლისადმი აქვს მოწიწებითი დამოკიდებულება, ქართული ჰაგიოგრაფიის პერსონაჟებს რომ გამოარჩევდა (თვით დედაკაცი სიძვისაჲ კრძალვით მიმართავდა ხანძთელს: „უმჯობეისი სულისა ჩემისაი იზრუნე“). თავკერძა ფიქრობს: „თვითონ რატომ უნდა ყოფილიყო ამ დღეში და ღვთის მსახურს რატომ უნდა ევლო არხეინად ნათლობებსა და ქელეხებში, როცა სწორედ მისი მოვალეობა იყო, ეზრუნა განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანზე, დაეცვა, გადაერჩინა, ნუგეში მაინც ეცა მისთვის“ (ჭილაძე, 1986: 83).

მოძღვარს დიახაც ევალება „ლიტურგიკული მსახურება, ღვთის სიტყვის ქადაგება და მრევლის წინამძღვრობა ცხოვნების გზაზე“ (მეტრეველი, 2000: 79), მაგრამ უარსებითესი თავად ადამიანის პიროვნული არჩევანია. ქაიხოსროს არ სურს, გაიცნობიეროს, რომ „ცოდვაი ბოროტი განრღვეულობაი არს და ყოვლისა განრღვეულობისა უძვირეს, გარნა უ კ ე თ უ ი ნ ე ბ ო გ ა ნ კ უ რ ნ ე ბ ა ი, მ ზ ა ა რ ს კ უ რ ნ ე ბ ა ი... ქრისტე გეტყვის: აღიღე ცხედარი შენი და ვიდოდე... ნუ უდებ იქმნები აღდგომად, ნუ წარიკვეთ სასოს, არა გაქუს კაცი, არამედ - ღმერთი გაქუს. არა განილევის, არცა მოუძლურდების მადლი იგი“ (მათეს სახარება, 1998: 233).

საკუთარი ყოფიერების მოდელი - ბნელი, უსხივო, უსიხარულო, კაცთმოძულე ყოფა - აძრწუნებს ქაიხოსროს. მოძღვარს გამოუტყდება, კაცი არასდროს მომიკლავს და კაცისმკვლელივით ვცხოვრობო. ლაკონური და მამხილებელია მღვდლის პასუხი: „გინდ მოგიკლავს და გინდ მოკვლა გნდომებია“ (ჭილაძე, ტ. 2, 1986: 255).

იოანე ოქროპირის მიხედვით, „არა ხორცთა ხოლო მოვიდა უფალი განთავისუფლებად ბოროტთა საქმეთაგან, არამედ - პირველად სულისაცა, რამეთუ მადლსა მას სულისა წმიდისასა გულთა შინა შევიწყნარებთ, ამისთვის გულისაჲ ბრძანა პირველად განწმენდაჲ“ (მათეს სახარება, წ. 1. 1996: 299).

ხაზგასმულია ფიქრის მატერიალურობა - ნაფიქრი ჩადენილია. ჯოჯოხეთური ფიქრი ყოფიერებას უქცევს ჯოჯოხეთად ქაიხოსროს, ამიტომაც აღსარებასავით ეტყვის მღვდელს: „წამიყვანე, მამაო, აქედან. აღარ შემიძლია... ღამღამობით კედლიდან გამოდიან, მისისინებენ, მოდიან, მიჩურჩულებენ... აი, ამ ბზარში მთელი ქალაქი შემოეტევა ხოლმე, ის წყეული ქალაქი... ყველას ჩემი მოკვლა უნდა - ცოლსაც, შვილებსაც და შვილიშვილებსაც...“.

ურწმუნოს ტრაგიკულ მონოლოგ-ტირადას მღვდელი ბიბლიური ციტატით უპასუხებს: „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“...

- ჰა? - ყურები დაცქვიტა ქაიხოსრომ, თითქოს რაღაც ეუცნაურა, დიდი ხნის დავიწყებული გაახსენდა უცებ...

- ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...

- რათა? მე რომ არავინ მომიკლავს? - დაიბნა, გაცხარდა, დაფრთხა ქაიხოსრო, კაციც გადამტერებოდა და ღმერთიც, ყველას მის სისხლზე ეჭირა თვალი - კაცსაც და ღმერთსაც“ (ჭილაძე, ტ. 2, 1986: 256).

ბიბლიური კაენის სიტყვა („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან მომკლას მე“) ეუცნაურა ქაიხოსროს, რომელსაც კაცი არ მოუკლავს და მაინც კაცისმკვლელივით ცხოვრობს, რადგან სძულს მოყვასი თვისი.

ბიბლიის ზემოაღნიშნულ პასაჟს „განმარტებითი ბიბლია“ შემდეგ კომენტარს ურთავს: „ყველა, ვისაც სამყაროში ცოდვა შემოაქვს, ინსტინქტურად

გრძნობს, რომ თავადაც ექვემდებარება ბოროტებას, რომელიც სამყაროში შემოიტანა. საყვედურის პასუხად უფალი ცოდვილს (კაენს) ხელშეუხებლობით სჯის, რითაც ღმერთი წარმოაჩენს, ერთი მხრივ, მკვლელობის უკიდურეს დანაშაულებრიობას, პასუხისმგებლობის სიმძიმეს, მეორე მხრივ, ავლენს თავის ამოუწურავ გულმოწყალებას - ცოდვილიც არ ემეტება სიკვდილისათვის და მონანიების საშუალებას აძლევს“ (ბიბლია, 1911-1915, წ.3: *35)*.

მაგრამ ქაიხოსრო არასოდეს მოინანიებს, არასოდეს მოიძიებს თავისი ტრაგიკული ყოფის მიზეზს საკუთარ თავში. ქაიხოსროსნაირნი მომრავლებულან, გიორგასნაირნი დაძვირებულან ერში. აპოკალიფსს ელის სრულიად ქვეყანა, რკინიგზას პანაცეად აღიქვამს „ფრთხილი აღტაცებით“, „მეორედ მოსვლა იწყებაო, მკვდრები გაცოცხლდებიანო, ეკლესიებში წირვა გაუქმდება და მღვდლებს გაკრეჭენო, ზარებს ჩამოხსნიან და ბორბლებად ჩამოასხამენო.“

შეშინებულ, დამფრთხალ მრევლს ცოდვათა მონანიება არ სწადია.

„ზოსიმე მღვდელს იის კონა და ლოცვანი გულზე მიეხუტებინა და შეიძლება ამის გამოც უფრო უმწეო და უთვისტომო ჩანდა.

„ - მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა, - მიბუტბუტებდა თავისთვის, - ქვეყნისა დამღუპველი, რამეთუ კიდევ დაგივიწყებენ შენ, უფალო, მშვიდობითა გაბრიყვებულნი. კვლავაც შეინანებ, უფალო, რამეთუ კვლავაც განმრავლდება უშჯულოებანი კაცთანი... მშვიდობა სუფევს ქვეყანასა ზედა, უფალო, წარღვნისა მაუწყებელი“ (ჭილაძე 1986: 269).

წარღვნის წინათმგრძნობელი, პერსონაჟს (მღვდელს) ათქმევინებს თავის კონცეპტუალურ სათქმელს მწერალი: „აი ია... იის კონა და ლოცვანი - აქედან იწყება ადამიანი. ჩვენც ასეთი სუნი გვაქვს, როცა ვიბადებით, ასეთივე სუსტი, გულშიჩამწვდომი, მაგრამ - ცოტახნით, ერთი-ორი დღით, სანამ სიარულს ვისწავლით და ტალახში ამოვიგანგლებით. თუ გინდა, ტალახში გაძლო, ჯერ ია უნდა მოკლა, იის სუნი უნდა მოიშორო. ჩვენს ბედზე, ია ადვილად კვდება“ (ჭილაძე, 1986: 270].

ვინაობის დამვიწყებელ ქაიხოსროს ღვთისმსახური განუსაზღვრავს ჭეშმარიტ სახესა და სახელს, როცა გაწამებული, ყოფიერების საზრისის ვერმპოვნელი, ჰკითხავს, ვინ ვარო:

„- ია, - თქვა ზოსიმე მღვდელმა.

- ია? - თვალები გადმოუცვივდა ქაიხოსროს.

- ხო, ფესვიანად მოგლეჯილი, შინ მიტანამდე სუნდაკარგული, ხელში დამჭკნარი ია“ (ჭილაძე, 1986: 275).

სახარების ერთ - ერთ პასაჟში ვკითხულობთ: „განიცადენით შროშანნი ველისანი... უკუეთუ თივაი იგი ველისაი, რომელი დღეს არის და ხვალ თორნესა

შთაეგზნის, ღმერთმან ესრეთ შემოსის, არ-მე უფროის თქუენა, მცირედ მორწმუნენო?!“

მაცხოვრის მიწიერი ნაცვალი - მღვდელი - ზეციური მოძღვრის მაღალი სიბრძნის დამაუნჯებელია. იგი სხეულის მოწყვლადობას, სულის უკვდავებას შეახსენებს მარადისობის დამვიწყებელს...

დასკვნა. ერთ-ერთ ინტერვიუში ოთარ ჭილაძე წერდა, რომ მწერლის დანიშნულებაა „თანაგრძნობა, გამხნევება, ცხოვრების ლაბირინთში მოხვედრილი ადამიანისა (ჭილაძე, 1988-2: 137).“

ქაიხოსროს „იად“ წარმოჩენაც ზემოთქმულის დასტურია - დაცემულისადმი მაღალი სიბრალულისა. „არაფერია უმიზეზო და არაფერია შემთხვევითი. ყველაფერში რაღაც გამოუთქმელი სიბრძნეა“, - წერდა ბასილი დიდი (ბასილი დიდი, 2005: 263). ყოფიერების განსხვავებული მოდელების (გიორგასი, ზოსიმესი, ქაიხოსროსი) წარმოჩენით პიროვნული არჩევნის საზრისზე დაგვაფიქრებს მწერალი.

„ოთარ ჭილაძის ნაწარმოებებში ობიექტური სინამდვილე (სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური პროცესები) იშვიათად არის აქცენტირებული, მწერლისათვის უმთავრესი პ ე რ ს ო ნ ა ჟ ი ს ფსიქოლოგიაა, შინაგანი სამყარო, სულიერი მდგომარეობა, ამიტომაც მწერლის მატრიცა, სამყაროს აღქმის მისეული მოდელი საინტერესოც არის და მრავალწახნაგოვანიც“ (ტურავა, 2014: 334).

გამოყენებული ლიტერატურა:

ანთაძე (2019) მიხეილ ანთაძე. მითი და მეტაფორა, თბილისი;

არქიმანდრიტი რაფაელი (1997) არქიმანდრიტი რაფაელი. მღვდლობის შესახებ, საუბრები მართლმადიდებლობაზე, წიგნი 2, თბილისი;

ბასილი დიდი (2005) ბასილი დიდი. თხზულებანი, თბილისი;

ბიბლია (1911-1915, წ.3) განმარტებითი ბიბლია, წ. 3, 1911-1915, 208 (რუსულ ენაზე);

ბიბლიის ენციკლოპედია (1990) ბიბლიის ენციკლოპედია, არქიმანდრიტ ნიკიფორის გამოცემა, 1891 (1990) (რუსულ ენაზე);

დანელია (1983) კორნელი დანელია. ქართული სამწერლო ენის ისტორიის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

დამასკელი იოანე, 2002: დამასკელი იოანე, გარდამოცემა (მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გადმოცემა), თბილისი;

თეოფილაქტე ბულგარელი (2002). თეოფილაქტე ბულგარელი, სახარებათა განმარტებანი, მოსკოვი, 2002 (რუსულ ენაზე);

თოდუა (2009) მირანდა თოდუა. ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის სახისმეტყველება, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
კატახიზმო (1994) სახელმძღვანელო მართლმადიდებელი ეკლესიის კატეხიზმოს შესასწავლად, თბილისი;
კოპლატაძე, რუხაძე (1997) გვანცა კოპლატაძე. გრიგოლ რუხაძე. ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება, თბილისი, საქართველოს საპატრიაქროს გამომცემლობა;
კუცია (2005) ნანა კუცია. ლიტერატურული წერილები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
კვაჭანტირაძე, 2010: მანანა კვაჭანტირაძე. ვექტორები, სტატიები, წერილები, ვექტორები, თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
მეტრეველი (2000) საბა-ფირუზ მეტრეველი. აგიოგრაფიული სიტყვა და ლოგოსი, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“;
მათეს სახარება, წ.1 (1996) ოქროპირი იოანე, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წ. 1, თბილისი;
მათეს სახარება წ. 2. (1996) ოქროპირი იოანე, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი 2, თბილისი;
მათეს სახარება (1998) ოქროპირი იოანე, თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ, წიგნი 3, თბილისი;
საბანისძე (1987). იოანე საბანისძე. ჰაბოს წამება. ქართული მწერლობა, ტომი I. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“.
იოანე ოქროპირი (1995) ოქროპირი იოვანე, ღვთივ-შუენიერნი სწავლანი, თბილისი;
სახარებათა განმარტებანი (2001) საკვირაო სახარებათა განმარტებანი, მთარგმნელი ვასილ ბურკაძე, თბილისი;
სირაძე (1992) რევაზ სირაძე. ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, წიგნი 1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;
სირაძე (1987) რევაზ რევაზ. ქართული აგიოგრაფია, თბილისი, გამომცემლობა „ნაკადული“;
ტურავა, 2014: მარინა ტურავა. გარღვეული ლაბირინთი, ლიტერატურული წერილები, ესეები, პორტრეტები. ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება. თბილისი, „ჩვენი მწერლობა“;
ღვინჯილია, 1990: ჯანსუღ ღვინჯილია. წერილები კლასიკურ და თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, თბილისი, გამომც. „მერიდიანი“;
ძველი აღქმა (1990) წიგნნი ძუელისა აღთქუმისანი, ლევიტელთაი, ნაკვეთი 2, თბილისი;

ჭილაძე (1986) ოთარ ჭილაძე. „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, თხზ. 3 ტომად, ტ. 2, თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
ჭილაძე (1988) ოთარ ჭილაძე. სიცოცხლისათვის. თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“;
ჭილაძე, (1988-2) ოთარ ჭილაძე. მონოლოგი დიალოგიდან, „მნათობი“ N11;
ჭილაძე (2003) ოთარ ჭილაძე. ბედნიერი ტანჯული (ესე, პუბლიცისტიკა, ინტერვიუ), თბილისი;
ჯოხაძე (2009) მაკა ჯოხაძე. სამოთხე უსიყვარულოდ (ესეები, წერილები), თბილისი, გამომცემლობა „ინტელექტი;
ჯალიაშვილი (2016) მაია ჯალიაშვილი. ზნეობის გარდამოხსნა (ლიტერატურული წერილები), თბილისი;